

გ ე ნ ე რ ა ლ უ რ ი ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 000000.001საკრედიტო მომსახურების შესახებ	GENERAL Agreement N 000000.001 on Credit Services
საქართველო, თბილისი, 00.00.2024წ	Georgia. Tbilisi, 00.00.2022.
<b>მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები</b>	<b>Article 1. Parties to the Agreement</b>
<b>1.1 ბანკი:</b>	<b>1.1 Bank:</b>
1.1.1საფირმო სახელწოდება:	1.1.1 Company Name:
სს „პაშა ბანკი საქართველო“	JSC "Pasha Bank Georgia"
1.1.2 საიდენტიფიკაციო ნომერი:	1.1.2 Identification number:
404433671	404433671
1.1.3 რეგისტრაციის ფორმა:	1.1.3 Registration form:
კომერციული ბანკი	Commercial Bank
1.1.4 იურიდიული მისამართი:	1.1.4 Legal address:
საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N37მ	Georgia, Tbilisi, Vake district, Ilia Chavchavadze Avenue, N37 m
1.1.5 ფაქტობრივი მისამართი:	1.1.5 The actual address:
1.1.6 წარმომადგენელი (ხელმოწერი პირი):	1.1.7 Representative (signing person):
1.1.7 წარმომადგენლობა:	1.1.7 representation:
მინდობილობა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი --; სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი --.	Power of attorney, registration number of the notarial act --; Individual number of the notarial act --.
1.1.8 ტელეფონი:	1.1.8 Telephone:
+ 995 (322) 265 000	+ 995 (322) 265 000
1.1.9 ელ.ფოსტა:	1.1.9 E-mail:
Business@pashabank.ge	Business@pashabank.ge
<b>1.2 მსესხებელი:</b>	<b>1.2 Borrower:</b>
1.2.1 სახელი, გვარი/საფირმო სახელწოდება:	1.2.1. Name, Surname/Company Name:
1.2.2 პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი:	1.2.2 Personal/Identification Number:

1.2.3. იურიდიული მისამართი:	1.2.3 Legal address:
1.2.4 ფაქტობრივი მისამართი:	1.2.4 The actual address:
1.2.5 წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	1.2.5. Representative (signing person):
1.2.6 წარმომადგენლობა:	1.2.6 Representation:
1.2.7 ტელეფონი:	1.2.7 Telephone:
1.2.8 ელ.ფოსტა:	1.2.8 E-mail:
<b>მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი</b>	<b>Article 2. Subject of the Agreement</b>
2.1. ამ გენერალური ხელშეკრულებით განსაზღვრული წესისა და პირობების შესაბამისად, ბანკი იღებს ვალდებულებას, განიხილოს მსესხებლის/მსესხებლების მოთხოვნები საბანკო პროდუქტებით: საბანკო კრედიტი, საკრედიტო ხაზი, ოვერდრაფტი, დოკუმენტალური ოპერაციები (დოკუმენტალური აკრედიტივი, დოკუმენტალური ინკასო, საბანკო გარანტია და სხვა დოკუმენტალური ოპერაციები), ფაქტორინგი სარგებლობის უფლების მინიჭების თაობაზე.	2.1. In accordance with the terms and conditions set forth in this General Agreement, the Bank undertakes to consider the requirements of the Borrower/Borrowers to be granted the right to use the following banking products: Bank Credit, Credit Line, Overdraft, Documentary Transactions (Documentary Letter of Credit, Documentary Encashment, Bank Guarantee and other documentary transactions), factoring.
2.2. მსესხებელი იღებს ვალდებულებას სრულად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები.	2.2. The Borrower undertakes to fully and duly fulfill the obligations under this General Agreement and/or other related agreements.
2.3. „დაკავშირებულ ხელშეკრულებებში“ (შემდგომში „დაკავშირებული ხელშეკრულებები“) იგულისხმება გენერალური (ძირითადი) ხელშეკრულების საფუძველზე და მის ფარგლებში გაფორმებული (ან გასაფორმებელი) საბანკო პროდუქტის ხელშეკრულებები, ნებისმიერი სხვა გარიგება ან დოკუმენტი, რომელთა გაფორმება გათვალისწინებულია გენერალური ხელშეკრულებით ან ხორციელდება მის საფუძველზე ან/და მისი აღსრულების მიზნით.	2.3 "Related Agreements" (hereinafter referred to as the "Related Agreements") means the Banking Product Agreements, any other transaction or document concluded or to be concluded based on and in the framework of the General (Main) Agreement, the conclusion of which has been provided for by the General Agreement or which are being concluded based on and/or for the execution of the General Agreement.

<p>2.4. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით დადგენილი საკრედიტო მომსახურების შესახებ გენერალური ხელშეკრულების (შემდგომში - გენერალური ხელშეკრულება) მოქმედების პერიოდში მსესხებელი უფლებამოსილია შეუზღუდავად და არაერთგზის ისარგებლოს საბანკო პროდუქტებით ზღვრული თანხის ფარგლებში იმგვარად, რომ ათვისებული ან ასათვისებელი ფულადი სახსრების ჯამურმა ნაშთმა არ გადააჭარბოს გენერალური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოცულობას და ამავდროულად ითვალისწინებდეს მსესხებლის მიერ ათვისებული ფულადი სახსრების დაფარვას გენერალური ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე.</p>	<p>2.4. The Parties agree that during the term of the <b>General Agreement (hereinafter referred to as the General Agreement) on the Credit Services</b> provided for in Article 3 of this Agreement, the Borrower shall have the right to use the Bank products unrestrictedly and repeatedly within the threshold amount in such a way that the total balance of the funds appropriated or to be appropriated does not exceed the amount provided for by the General Agreement and at the same time, that total balance has to provide for the repayment of the funds appropriated by the Borrower before the expiration of the term of the General Agreement.</p>
<p><b>მუხლი 3. გენერალური ხელშეკრულების საბაზისო პირობები</b></p>	<p><b>Article 3. Basic terms of the General Agreement</b></p>
<p>3.1 გენერალური ხელშეკრულების ამოქმედების თარიღი:</p>	<p>3.1 Date of entry into force of the General Agreement:</p>
<p>ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი</p>	<p>Date of signing the General Agreement</p>
<p>3.2 გენერალური ხელშეკრულების მოქმედების ვადა:</p>	<p>3.2 Validity of the General Agreement:</p>
<p>20 (ოცი) წელი</p>	<p>20 (twenty) years</p>
<p>3.3 ზღვრული თანხა (ლიმიტი):</p>	<p>3.3 Ceiling Amount (limit):</p>
<p>10000000 (ათი მილიონი) აშშ დოლარი ან ექვივალენტი სხვა ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით.</p>	<p>10000000 (ten million) USD or equivalent in another currency at the official exchange rate set by the National Bank of Georgia.</p>
<p>3.4 წლიური საპროცენტო განაკვეთი:</p>	<p>3.4 Annual interest rate:</p>
<p>მაქსიმუმ 48 (ორმოცდარვა) პროცენტამდე ოდენობით.</p>	<p>Up to a maximum of 48 (forty eight) percent.</p>
<p>3.5. „ზღვრულ თანხა“-ში იგულისხმება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ნებისმიერ დროს აღებული ძირითად ვალდებულებათა ერთობლიობა, დასარიცხი საპროცენტო სარგებლის, საბანკო გარანტიისათვის საზღაურის და ჯარიმების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებლად. საბანკო პროდუქტის ოდენობა მისი გაცემის დღეს არ უნდა აღემატებოდეს ზღვრული თანხის ათვისებულ ნაწილს. საბანკო პროდუქტების გაცემის შემდეგ სავალუტო კურსის შესაძლო ცვლილების გამო</p>	<p>3.5. "Ceiling Amount" means the total main liabilities assumed at any time during the term of this Agreement, excluding accrued interest, bank guarantee fees and penalties (if any). The amount of the banking product on the day of its issuance shall not exceed the unused part of the Ceiling Amount. Exceeding the limit set for the Borrower due to a possible change in the exchange rate after the issuance of banking products shall not be considered as a violation by the Bank of the</p>

<p>მსესხებელზე დადგენილი ლიმიტის გადაჭარბება არ ჩაითვლება ბანკის მიერ გენერალური ხელშეკრულებით განსაზღვრული ზღვრული თანხის ლიმიტის დარღვევად.</p>	<p>Ceiling Amount limit under the General Agreement.</p>
<p>3.6. თითოეული საბანკო პროდუქტის (შემდგომში საბანკო პროდუქტ(ებ)ი: საბანკო კრედიტი, საკრედიტო ხაზი, ოვერდრაფტი, დოკუმენტალური ოპერაციები (დოკუმენტალური აკრედიტივი, დოკუმენტალური ინკასო, საბანკო გარანტია და სხვა დოკუმენტალური ოპერაციები), ფაქტორინგი გაცემა ხდება შესაბამისი კონკრეტული ხელშეკრულების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საბაზისო პირობების გათვალისწინებით. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ან სხვა დაკავშირებული/დამატებითი ხელშეკრულებით/დოკუმენტით მსესხებელი შეიძლება განისაზღვროს სხვა დასახელებით.</p>	<p>3.6. Each banking product (hereinafter – the Bank Product(s)): Bank Credit, Credit Line, Overdraft, Documentary Transactions (Documentary Letter of Credit, Documentary Encashment, Bank Guarantee and other documentary transactions), factoring shall be issued on the basis of a relevant specific agreement, subject to the basic terms and conditions set forth in this Agreement. Furthermore, the parties agree that the borrower, under this General Agreement or any other related/additional agreement/document, may be designated by a different name.</p>
<p>3.7. კონკრეტული საბანკო პროდუქტის ხელშეკრულება წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი კრედიტის/პროდუქტის კონკრეტული პირობები, კერძოდ: საბანკო პროდუქტის ოდენობა, ვადა, საპროცენტო სარგებელი, მიზნობრიობა, პირგასამტეხლო, წინსწრებით დაფარვის საკომისიო, დაფარვის გრაფიკი, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველები, ასევე ბენეფიციარი, უზრუნველყოფილი ვალდებულება, გარანტიით უზრუნველყოფილი თანხა, საზღაურის ოდენობა, საჯარიმოსანქცია და ა.შ.</p>	<p>3.7. An agreement for a specific banking product is an integral part of this Agreement that determines specific terms and conditions for the relevant credit/product, in particular: Amount of the banking product, its term, interest, purpose, penalty, advance payment fee, repayment schedule, grounds for early termination of the agreement, as well as beneficiary, secured obligation, guaranteed amount, amount of remuneration, penalty, etc.</p>
<p>3.8. თითოეული საბანკო პროდუქტის სარგებლობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადას;</p>	<p>3.8. The term of use of each banking product shall not exceed the term of this agreement;</p>

<p>3.9. საპროცენტო სარგებელი იანგარიშება ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულებებით განსაზღვრული კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთ) დღეზე გაანგარიშებით.</p>	<p>3.9. Interest shall be calculated according to the actual days of using the loan specified in the Agreement and/or related credit agreements, for 365 (three hundred and sixty five) days per year.</p>
<p>3.10. ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულების პირობებით შეიძლება დადგინდეს როგორც ფიქსირებული, ისე ცვალებადი/ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი.</p>	<p>3.10. The terms of the additional agreement concluded on the basis of this Agreement may determine both fixed and variable/indexed interest rates.</p>
<p>ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებლის ფორმირებისთვის გამოყენებული საჯარო ინდექსის (მათ შორის რეფინანსირების განაკვეთი, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, LIBOR განაკვეთი, TERM SOFR განაკვეთი ან/და სხვა) გაუქმების/ოფიციალურად გამოქვეყნების შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში, ბანკმა ცალმხრივად განსაზღვროს საჯარო ინდექსი, რომლის შესაბამისადაც მოხდება საპროცენტო სარგებლის ფორმირება, რის თაობაზეც შეატყობინებს მსესხებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული კომუნიკაციის საშუალებით.</p>	<p>However, the parties agree that in case of cancellation, termination of publication or suspension of the public index (including refinancing rate, monetary policy rate, LIBOR rate, TERM SOFR rate and/or other) used for the formation of the interest rate specified in the Agreement, the bank shall unilaterally set the public index, according to which the interest rate will be formed that will be notified to the Borrower through the means of communication specified in the Agreement.</p>
<p><b>მუხლი 4. საბანკო პროდუქტებით სარგებლობის დამატებითი პირობები</b></p>	<p><b>Article 4. Additional terms of use of banking products</b></p>
<p>4.1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ბანკი უფლებამოსილია მის მიერ გაცემული საბანკო პროდუქტის რეფინანსირების ან მსესხებლის საკუთარი სახსრებით წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში მსესხებელს, გარდა ნარჩენი ძირის დაფარვისა, დააკისროს და მოსთხოვოს საკომისიო და/ან პირგასამტეხლო, თანხის წინსწრებით დაფარვის მომენტისათვის ხელშეკრულების დარჩენილი ვადის გათვალისწინებით, შემდეგი ოდენობით:</p>	<p>4.1. Unless otherwise provided by law, the Bank may, in case of refinancing of the issued banking product or its advance repayment with the Borrower's own funds, in addition to charging the remaining principal amount, impose and require from the Borrower to pay a fee and/or penalty, taking into account the remaining period of the Agreement at the time of advance repayment of the amount, in the following amount:</p>
<p>4.1.1. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური პროდუქტებისთვის: -</p>	<p>4.1.1. For financial products with a fixed interest rate: -</p>

ა) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე, გადახდის მომენტში საბანკო პროდუქტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ისა;	A) if there are 6 to 12 months left before the end of the Agreement, not more than 0.5% of the amount directed to the remaining principal amount of the banking product at the time of payment;
ბ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე, გადახდის მომენტში საბანკო პროდუქტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 1%-ისა;	B) if there are 12 to 24 months left before the end of the Agreement, not more than 1% of the amount directed to the remaining principal amount of the banking product at the time of payment;
გ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში საბანკო პროდუქტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 2%-ისა.	C) if there are more than 24 months left before the end of the Agreement, not more than 2% of the amount directed to the remaining principal amount of the banking product at the time of payment.
<b>4.1.2 ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური პროდუქტებისთვის: -</b>	<b>4.1.2 For financial products with a variable interest rate: -</b>
ა) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 24 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ისა;	A) if there are 6 to 12 months left before the end of the Agreement, not more than 0.5% of the amount directed to the remaining principal amount of the loan at the time of payment;
ბ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 1%-ისა;	B) if there are more than 24 months left before the end of the Agreement, not more than 1% of the amount directed to the remaining principal amount of the loan at the time of payment;
4.1.3 ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური პროდუქტებისთვის: - თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ისა.	4.1.3 For financial products with an indexed interest rate: - If there are more than 6 months left before the end of the Agreement, not more than 0.5% of the amount directed to the remaining principal amount of the loan at the time of payment.
4.1.4. ბანკის მიერ მსესხებლისთვის ზემოაღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკომისიოს დაკისრება არ მოხდება შემდეგ შემთხვევებში: თუ:	4.1.4. The bank will not impose on the Borrower the fee provided for by the above sub-paragraph in the following cases:
ა) ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი;	A) If there is a period of up to 6 months left before the end of the Agreement;
ბ) საბანკო პროდუქტის რეფინანსირება მთლიანად ან ნაწილობრივ ხდება სს „პაშა ბანკი საქართველო“-ს მიერ გაცემული ახალი კრედიტით;	B) If the banking product is refinanced in whole or in part with a new loan issued by JSC "Pasha Bank Georgia";

<p>გ) საბანკო პროდუქტის წინსწრებით დაფარვა ხდება ბანკის მოთხოვნით;</p>	<p>C) If the bank product is repaid in advance at the request of the bank;</p>
<p>დ) საბანკო პროდუქტის წინსწრებით დაფარვა ან რეფინანსირება ხდება ბანკის მხრიდან საკრედიტო ხელშეკრულებებში შესატან ცვლილებებზე მსესხებლის მხრიდან ან/და, არსებობისას, თავდების/სოლიდარული თავდების/უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის მხრიდან დაუთანხმებლობის მიზეზით (აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება, თუ ფინანსური ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი მიზეზით გაუქმდა არსებული ინდექსი და ხდება ინდექსის ჩანაცვლება);</p>	<p>D) If the bank product is repaid or refinanced in advance by the bank for the reason of disagreement, by the Borrower, with the changes to be made to the loan agreements by the Bank, and/or if such changes are present, of disagreement by the owner of the pledge/joint pledge/collateral (this requirement does not apply if the applicable is cancelled and replaced independent of the financial organization);</p>
<p>დ) კრედიტი იფარება კრედიტის დაფარვის უზრუნველსაყოფად დადებული დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში;</p>	<p>E) If the loan is repaid in the framework of the insurance agreement concluded to ensure the repayment of the loan;</p>
<p>ე) წინსწრებით იფარება ოვერდრაფტი.</p>	<p>F) If the overdraft is repaid in advance.</p>
<p>4.2. საბანკო პროდუქტის წინსწრებით დაფარვის შესახებ განცხადების ბანკისთვის წარდგენის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებული იქნება წარუდგინოს ბანკს ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად იძლევა საბანკო პროდუქტის რეფინანსირების ფაქტის დადგენის შესაძლებლობას ან უარყოფს საბანკო პროდუქტის რეფინანსირების ფაქტს.</p>	<p>4.2. In case of submitting an application for advance repayment of the bank product to the bank, the Borrower shall be obliged to provide the bank with any information/document that directly or indirectly allows the establishment or denial of the fact of refinancing of the banking product.</p>
<p>4.3. ბანკს უფლება ექნება მსესხებლის განცხადების მიღების შემდეგ ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მსესხებელს საბანკო პროდუქტის რეფინანსირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტის მისთვის წარდგენა მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საბანკო დღისა.</p>	<p>4.3. After the receipt of the application of the borrower, the Bank shall have the right to require, at any time, the Borrower to submit any information/documents related to the refinancing of the banking product to the Borrower not later than 2 (two) banking days after that requirement.</p>

<p>4.4. ამ გენერალური ხელშეკრულების მიზნებისთვის საბანკო პროდუქტის რეფინანსირებად ჩაითვლება ბანკის გარდა ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის (კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, საკრედიტო კავშირის ან/და სხვა პირის) მიერ გაცემული თანხით ბანკისგან მიღებული საბანკო პროდუქტის წინსწრებით (შეთანხმებულ ვადაზე ადრე) დაფარვა პირდაპირ ან/და ირიბად, უშუალოდ ან/და სხვა პირების მეშვეობით.</p>	<p>4.4. For the purposes of this General Agreement, refinancing of a banking product shall be deemed to be direct and/or indirect advance (earlier than the agreed date) repayment of a banking product received from the bank with the amount issued by any financial institution, including the bank (commercial bank, microfinance organization, credit union and/or another person) directly and/or through other persons.</p>
<p>4.5. მხარეები თანხმდებიან, რომ:</p>	<p>4.5. The parties agree that:</p>
<p>4.5.1 ბანკი არ არის ვალდებული დაამტკიცოს რეფინანსირების ფაქტი და მას უფლება აქვს, საბანკო პროდუქტის რეფინანსირების შესახებ ინფორმაციის ნებისმიერი წყაროთი მიღების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება მსესხებლისთვის შესაბამისი საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ;</p>	<p>4.5.1 The Bank is not required to prove the fact of refinancing and has the right, in case of receiving information on refinancing of the banking product from any source, to make a decision on imposing a relevant fee and/or a fine on the Borrower;</p>
<p>4.5.2 ბანკის მიერ მსესხებლისთვის შესაბამისი საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება, უაქცეპტო წესით ჩამოწეროს შესაბამისი საკომისიო ან/და პირგასამტეხლო მსესხებლის ნებისმიერი ანგარიშიდან (იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება დაფიქსირებულია ანგარიშზე არსებული თანხის ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში, ეკვივალენტი განისაზღვრება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის დადგენილი კურსით);</p>	<p>4.5.2 Where the Bank decides to impose a relevant fee and/or penalty on the Borrower, the Bank shall have the right to write off the relevant fee and/or penalty from any account of the Borrower in a manner other than the acceptance (if the debt is fixed in a currency other than the foreign currency of the amount available on the account, the equivalent amount shall be set at the time of writing off the amount by the bank);</p>
<p>4.5.3 რეფინანსირების არარსებობის ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება მსესხებელს;</p>	<p>4.5.3 The burden of proving the absence of refinancing shall rest with the Borrower;</p>
<p>4.5.4. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი სასამართლოსთვის მიმართვის გზით დაამტკიცებს რეფინანსირების არარსებობის ფაქტს, ბანკი ვალდებული იქნება, დაუბრუნოს მას მხოლოდ უაქცეპტო წესით ჩამოწერილი საკომისიო ან/და პირგასამტეხლო, ხოლო მსესხებელი უარს აცხადებს ბანკის ქმედებებით (ბანკის მიერ ამ გენერალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით) მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.</p>	<p>Where the Borrower proves the absence of refinancing by applying to the court, the Bank shall be obliged to return to the Borrower only the deducted commission fee and/or penalty written off in a manner other than the acceptance, and the Borrower waives its right to claim reimbursement of the damages caused by the Bank's actions (by violating the obligations undertaken by this General Agreement).</p>



<p>4.6. მსესხებელი ვალდებულია კრედიტის თანხის, მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის (მათ შორის, მიუღებელი სარგებლის), საკომისიოსა და პირგასამტეხლოს, აგრეთვე ნებისმიერი სხვა სახის დავალიანების ვადამდე შესრულებამდე, მათ შორის სხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან რეფინანსირებამდე, ხოლო საკრედიტო ხაზის და ოვერდრაფტის შემთხვევაში, მხოლოდ სხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან რეფინანსირებამდე, აღნიშნულის თაობაზე წერილობით მიმართოს ბანკს.</p>	<p>4.6. If the Borrower prematurely repays the loan amount, the interest accrued (including unearned interest), fees and penalties, as well as prematurely covers any other type of debt, including before the refinancing from other financial institutions, and in case of credit line and overdraft- only before the refinancing from other financial institutions, the Borrower shall be obliged to apply, in writing, to the bank.</p>
<p>ამასთან, თუ საკრედიტო ხელშეკრულებით, საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით ან/და ოვერდრაფტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტის თანხის ან/და ოვერდრაფტის თანხის მოცულობა არ აღემატება 2000000 (ორი მილიონი) ლარს ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში (ბანკისათვის წერილობით მიმართვის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით), ბანკი ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების დაფარვას უზრუნველყოფს წერილობით მიმართვის დღეს ან თუ წერილობით მიმართვა განხორციელდა არასამუშაო დროს, არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების დაფარვა უზრუნველყოს წერილობით მიმართვიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა.</p>	<p>However, if the amount of loan and/or overdraft provided for by the loan agreement, credit line agreement and/or overdraft agreement does not exceed GEL 2000000 (two million) or its equivalent in another currency (at the rate set by the National Bank of Georgia on the day of written application to the bank), the bank shall ensure the repayment of the above liabilities on the day of the written application, or not later than on the next banking day if the written application was made during non-working hours. In any other case, the Bank shall be entitled to repay the above liabilities not later than 14 (fourteen) calendar days after the written application.</p>
<p>4.7 მსესხებელი ითვალისწინებს, რომ ავტომატურად არ მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული კრედიტის ან/და სხვა საფინანსო პროდუქტის (მისი ტიპიდან გამომდინარე) წინსწრებით სრულად დაფარვა, თუ მის ანგარიშზე არის აღნიშნულისათვის საჭირო თანხა და კრედიტის ან/და სხვა ნებისმიერი საფინანსო პროდუქტის (მისი ტიპიდან გამომდინარე) სრულად წინსწრებით დაფარვისათვის, მსესხებელმა უნდა მიმართოს ბანკს წინამდებარე ან/და წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.</p>	<p>4.7 The Borrower shall consider that the loan and/or other financial product (depending on its type) issued under this Agreement will not be automatically fully repaid in advance if the amount required for the above purpose is available on his account, and for the full advance repayment of the loan and/or any other financial product (depending on its type), the Borrower shall apply to the Bank in accordance with the rules set forth in this Agreement and/or other Agreement(s) concluded based on this Agreement.</p>

<p>4.8. ბანკი უფლებამოსილია რამდენიმე ვადამოსული დავალიანების არსებობისას, განსაზღვროს საბანკო პროდუქტების და მათ ფარგლებში არსებული გადასახდელების თანმიმდევრობა და რიგითობა, თუ აღნიშნული სხვაგვარად დარეგულირებული არ არის ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული კონკრეტული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით.</p>	<p>4.8. If there are several due debts, the Bank shall be entitled to determine the sequence and order of the banking products and the payments relating thereto, unless otherwise regulated by a specific bank loan agreement concluded based on this Agreement.</p>
<p><b>მუხლი 5. საბანკო კრედიტების გაცემა და დოკუმენტალური ოპერაციების წარმოება</b></p>	<p><b>Article 5. Issuance of bank loans and carrying out the documentary transactions</b></p>
<p>5.1. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების შესაბამისად თითოეული საბანკო კრედიტის გაცემის და დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების საკითხს ბანკი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს ცალკე და დამოუკიდებლად წყვეტს მას.</p>	<p>5.1. The bank shall consider the issue of issuing each bank loan and carrying out documentary transactions in accordance with this General Agreement individually, on a case-by-case basis and independently.</p>
<p>5.2. კონკრეტული საკრედიტო პროდუქტის მიღების სურვილს მსესხებელი აფიქსირებს ბანკისთვის წერილობითი განაცხადის წარდგენით.</p>	<p>5.2. The borrower shall express his/her a desire to receive a specific loan product by submitting a written application to the bank.</p>
<p>5.3. მსესხებლის განაცხადის ანალიზის მიზნით ბანკმა შესაძლოა მოითხოვოს ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია მსესხებლის შესახებ (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია საკრედიტო პროდუქტის მიზნობრიობის, მსესხებლის საქმიანობის, მსესხებლის პარტნიორებისა და სხვა დაკავშირებული პირების, ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის, უზრუნველყოფის ობიექტების შესახებ).</p>	<p>5.3. In order to analyze the borrower's application, the bank may request information and/or documentation on the borrower (including information/documentation about the purpose of the loan product, the borrower's activities, and property and financial condition of the borrower`s partners and other related parties, as well as about the collateral).</p>
<p>5.4. ბანკი უფლებამოსილია:</p>	<p>5.4. The bank shall be entitled to:</p>
<p>5.4.1. შესაბამისი შეთანხმების ან/და კანონმდებლობის შესაბამისად მიიღოს ინფორმაცია მსესხებლის შესახებ მესამე პირებისგან მსესხებელთან დამატებითი შეთანხმების გარეშე;</p>	<p>5.4.1. In accordance with the relevant agreement and/or legislation receive information about the Borrower from third parties without further agreement with the Borrower;</p>
<p>5.4.2. არ დააკმაყოფილოს მსესხებლის განაცხადი საკრედიტო პროდუქტის მიღების შესახებ უარის მიზეზის განმარტების გარეშე;</p>	<p>5.4.2. Not accept the Borrower's application for a loan product without explaining the reason for the refusal;</p>
<p><b>მუხლი 6. ვალდებულებების უზრუნველყოფა</b></p>	<p><b>Article 6. Securing the liabilities</b></p>

<p>6.1. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე გაფორმებული/გასაფორმებელი ნებისმიერი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულება უზრუნველყოფილია ბანკსა და მსესხებლის და/ან მესაკუთრეს შორის გაფორმებული შესაბამისი იპოთეკის და/ან გირავნობის ხელშეკრულებებით და/ან თავდებობით და/ან საბანკო გარანტიით.</p>	<p>6.1. The liabilities under this General Agreement and any agreement entered concluded/to be concluded based on it are secured by the relevant mortgage and/or pledge agreements and/or sureties and/or bank guarantees concluded between the Bank and the Borrower and/or Owner.</p>
<p>6.2. წინამდებარე ხელშეკრულებით და მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულებებით დადგენილი ვალდებულებების წინასწარი უზრუნველყოფა წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას ბანკის მიერ კონკრეტული კრედიტების გასაცემად. თუ მხარეთა შორის გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის დადგენილი.</p>	<p>6.2. Advance securing of the liabilities set forth in this Agreement and any agreements concluded based on it shall be a necessary precondition for the issuance of specific loans by the Bank. Except when different terms are not agreed by an additional agreement made between the Parties.</p>
<p>6.3. უზრუნველყოფის საშუალების ღირებულების შემცირებისას მსესხებელი ვალდებულია წარმოუდგინოს ბანკს მის წინაშე არსებულ ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად სხვა ადეკვატური სანივთო ან პიროვნული უზრუნველყოფა (იპოთეკის საგანი, გირავნობის საგანი, სხვა პირის თავდებობა).</p>	<p>6.3. In case of reduction of the value of the collateral, the Borrower shall be obliged to present to the bank other adequate material or personal collateral (item of mortgage, item of pledge, other person's guarantee) to secure his/her liabilities.</p>
<p>სხვადასხვა უზრუნველყოფის საშუალებების წარმოდგენის შემთხვევაში ბანკი ექსკლუზიურად აირჩევს წარმოდგენილი უზრუნველყოფიდან ერთ-ერთს ან ყველას ერთად.</p>	<p>In case of presenting different collateral, the bank will exclusively choose one or all of the presented collateral.</p>

<p>6.4. მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე გაფორმებული/გასაფორმებელი ნებისმიერი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა, ვადამოსული დავალიანების ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვადაში დაუფარაობა (რაც გრძელდება 30 ან მეტი კალენდარული დღის განმავლობაში), ან ამ გენერალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა საფუძველით ბანკის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ბანკს აძლევს იურიდიულ და სახელშეკრულებო საფუძველებს გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები მსესხებლის ქონებაზე გადახდევინების მისაქცევად და საკრედიტო და საგარანტიო წერილიდან გამომდინარე ვალდებულებების უზრუნველყოფის საშუალებების (იპოთეკა, გირავნობა, თავდებობა) ასამოქმედებლად.</p>	<p>6.4. Violation of the obligations by the Borrower under this Agreement and any agreements concluded/to be concluded based on it, non-repayment of the due debt within the period prescribed by the agreements (lasting for 30 or more calendar days) or early termination, by the bank, of the General Agreement for another reason provided for by this Agreement shall give the Bank legal and contractual grounds to use the rights provided for by this Agreement and the legislation to enforce the payment relating to the Borrower`s property, and to apply the collateral (mortgage, pledge, surety) for the liabilities under the letters of credit and guarantee.</p>
<p>6.5. თუ მხარეთა შორის წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი კონკრეტული საბანკო პროდუქტით მომსახურების ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში მსესხებელი სრულად არ შეასრულებს ვალდებულებებს, ბანკი უფლებამოსილია მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით დაიწყოს იძულებითი აღსრულების მიქცევა უზრუნველყოფის საგნებზე.</p>	<p>6.5. If the Borrower fails to fulfill his/her obligations in full within the timeframe set by the Service Agreement for any particular banking product concluded under this General Agreement, the Bank shall be entitled to initiate forceful enforcement process against the collateral in order to satisfy its demand.</p>
<p>იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის საგნების რეალიზაციით მიღებული თანხები არ იქნება საკმარისი მსესხებლის ვალდებულებების სრულად შესასრულებლად და მსესხებელს რჩება პასუხისმგებლობა დარჩენილ ნაშთზე, ბანკს აქვს უფლება იძულებითი გადახდევინება მიაქციოს მსესხებლის სხვა ქონებაზე.</p>	<p>In the event that the proceeds from the sale of the collateral are not sufficient to fully cover the Borrower's liabilities and the Borrower remains liable for the remaining balance, the Bank shall have the right to enforce payment on the other property of the Borrower.</p>
<p><b>მუხლი 7. დოკუმენტების წარდგენა</b></p>	<p><b>Article 7. Submission of documents</b></p>
<p>7.1. საბანკო კრედიტების მისაღებად და დოკუმენტალური ოპერაციების საწარმოებლად მსესხებელი წარმოადგენს ყველა აუცილებელ დოკუმენტსა და სრულ და უტყუარ ინფორმაციას მოქმედი კანონმდებლობისა და ბანკში არსებული წესების შესაბამისად.</p>	<p>7.1. In order to obtain bank loans and carry out documentary operations, the Borrower shall submit all the necessary documents and complete and accurate information in accordance with the current legislation and applicable bank rules.</p>

<p>7.2. მსესხებლის მიერ მოპოვებული იქნება ყველა აუცილებელი თანხმობა და ნებართვა წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების დასადავად და შესასრულებლად.</p>	<p>7.2. The Borrower shall obtain all necessary consent and permission to conclude and execute this General Agreement.</p>
<p>7.3. მსესხებელი ვალდებულია არ დაუმალოს და აცნობოს ბანკს მისაღებ საბანკო კრედიტებთან და დოკუმენტალური ოპერაციების წარმოებასთან დაკავშირებული ყველა გარემოების შესახებ, რასაც შესაძლებელია მნიშვნელობა ჰქონდეს ბანკისათვის შესაბამისი რისკების შეფასებისას ან და რამაც შესაძლებელია მოახდინოს ზეგავლენა მსესხებლის მიერ ბანკისა და ბენეფიციარის (საბანკო გარანტიის შემთხვევაში) წინაშე ვალდებულებების შესრულებაზე.</p>	<p>7.3. The Borrower shall be obliged not to disclose and notify to the Bank of any circumstances relating to the bank loans and documentary transactions that may be relevant to the bank in assessing the relevant risks or that may affect the Borrower 's performance of his/her obligations towards the bank and the beneficiary (in case of a bank guarantee).</p>
<p>7.4. ბანკს უფლება აქვს, მსესხებლისაგან მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტი როგორც კრედიტის მიზნობრივად გახარჯვის, ისე მსესხებლის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესამოწმებლად.</p>	<p>7.4. The bank has the right to receive all the necessary information and documents from the Borrower to check the purpose of the loan, as well as to check the financial and property condition of the Borrower.</p>
<p>მსესხებელი ვალდებულია, შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები ბანკს წარუდგინოს მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.</p>	<p>The Borrower shall be obliged to submit the relevant information and documents to the Bank within 10 (ten) days after the request.</p>
<p>7.5. ბანკი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მსესხებელს ის ინფორმაცია, რაც ბანკის შეხედულებით მსესხებლის მიერ წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების ან/და დაკავშირებული ხელშეკრულებების დარღვევას ან მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის ისეთ გაუარესებას ადასტურებს, რაც საფრთხეს უქმნის საკრედიტო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას და მისცეს დრო მსესხებელს აღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად ან უარსაყოფად.</p>	<p>7.5. The Bank shall immediately notify the Borrower of any information which, in the Bank's opinion, constitutes breach of the present General Agreement and/or additional/related agreements by the Borrower or deterioration of the Borrower's financial condition that threatens the proper performance of the credit obligations and give the Borrower time to confirm or deny such information.</p>
<p>7.6. ბანკისაგან შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში მსესხებელმა წერილობით უნდა წარუდგინოს ბანკს შეტყობინებაში მითითებული გარემოებების გამაბათილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები, ან დაუდასტუროს ამ გარემოებების არსებობა და, მათი არსებობის მიუხედავად, თავისი გადახდისუნარიანობა და საკრედიტო ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში დაფარვის შესაძლებლობა.</p>	<p>7.6. Within 10 (ten) days after receiving the notice from the Bank, the Borrower shall submit in writing to the Bank the information and documents invalidating the circumstances, which are referred to in the notice, or confirm the existence of these circumstances and, his/her creditworthiness and ability to repay his/her credit liabilities, regardless of the existence of the above circumstances.</p>

<p>მსესხებლის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს ბანკისათვის, ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვოს მსესხებლისაგან კრედიტისა და საპროცენტო სარგებლის 30 კალენდარული დღის განმავლობაში დაფარვა.</p>	<p>Failure by the Borrower to fulfill this obligation shall constitute grounds for the Bank to terminate this Agreement and to require from the Borrower to repay the credit and interest rate within 30 calendar days.</p>
<p><b>მუხლი 8. მხარეების განცხადებები და გარანტიები</b></p>	<p><b>Article 8. Statements and warranties of the parties</b></p>
<p>8.1. მსესხებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:</p>	<p>8.1. The Borrower declares and warrants that he/she:</p>
<p>8.1.1. უარს არ იტყვის ამ გენერალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, ასევე არ გადასცემს თავის ვალდებულებებს მესამე პირს და არ იკისრებს ახალ ვალდებულებებს ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.</p>	<p>8.1.1. Will not refuse to fulfill the obligations under this General Agreement, nor will it transfer its obligations to a third party and will not undertake new obligations without the prior written consent of the Bank.</p>
<p>ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ მსესხებელმა პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს ბანკის უფლებას, მიიღოს მესამე პირისგან შემოთავაზებული შესრულება და ამ მიზნებისთვის მსესხებელი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკმა მესამე პირს გადასცეს ინფორმაცია მსესხებლის მიმდინარე დავალიანების/გადასახდელების შესახებ;</p>	<p>In addition, this provision does not stipulate that the Borrower shall personally fulfill the liabilities, and does not exclude the bank's right to accept the performance proposed by a third party and for these purposes, the Borrower agrees that the bank provide the third party with information on the current liabilities/dues of the Borrower.</p>
<p>8.1.2. ამ გენერალური ხელშეკრულების დადებისას, იგი არ იმყოფება შეცდომის, მოტყუების, მის წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის ან მუქარის გავლენის ქვეშ;</p>	<p>8.1.2. When concluding this General Agreement, he/she is not misled, cheated or exposed to the violence or threat applied against him/her;</p>
<p>8.1.3. მისთვის ცნობილია, რომ ბანკისათვის ყალბი ან/და არასწორი ინფორმაციის/ცნობების მიწოდება საბანკო პროდუქტის მიღების ან მისი ოდენობის გაზრდის ან/და შეღავათიანი საბანკო პროდუქტის მიღების მიზნით, აგრეთვე მიზნობრივი საბანკო პროდუქტის არადანიშნულებისამებრ გამოყენება არის დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით და წარმოადგენს საკმარის საფუძველს ამ გენერალური ხელშეკრულების მოქმედების შესაწყვეტად;</p>	<p>8.1.3. He/she is aware that providing false and/or incorrect information/notice to the Bank for the purpose of receiving a banking product or increasing the amount of that product and/or receiving the preferential banking product, as well as misuse of the target banking product constitutes a crime under the Criminal Code of Georgia and is a sufficient basis for the termination of this General Agreement;</p>

<p>8.1.4. მსესხებელი ბანკს ანიჭებს უფლებას მსესხებლის ნებისმიერი სახის ანგარიშებიდან მსესხებლის წინასწარი წერილობითი შეტყობინების გარეშე უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი, ხოლო თუ გადასახდელი და ანგარიშებზე რიცხული თანხა სხვა ვალუტაშია, ბანკმა თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის ბანკში მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს მსესხებლის ანგარიშებიდან, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარად.</p>	<p>8.1.4. The Borrower shall authorize the Bank to write off all payments from any types of the Borrower's accounts without submitting any prior written notice to the Borrower, without acceptance, and if the amount payable and the amount on the accounts is in another currency, the Bank shall itself perform converting at the Bank's commercial exchange rate applicable on the day of payment. The Bank shall also write off the fee of conversion service from the Borrower`s accounts without acceptance and use the converted amount to pay the relevant fee.</p>
<p>8.1.5. დაიცვას კრედიტის (საკრედიტო პროდუქტების) მიზნობრიობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მსესხებელმა უნდა წარუდგინოს ბანკს საბანკო პროდუქტის მიზნობრივად გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები, ბანკის მოთხოვნის საფუძველზე.</p>	<p>8.1.5. Comply with the purpose of the loan (loan products) (if any). Upon the request of the bank, the borrower shall submit to the bank documents proving the purposeful use of the banking product.</p>
<p>8.1.6. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების დადების დღეს მისი ადგილსამყოფელია ხელშეკრულებაში მითითებული მისამართი;</p>	<p>8.1.6. On the day of concluding this General Agreement, its location is the address specified therein;</p>
<p>8.1.7. მსესხებლის წარმომადგენელს აქვს წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება და მას მიღებული აქვს ამისათვის ყველა საჭირო ნებართვა და თანხმობა მსესხებლის შესაბამისი ორგანოებიდან (დირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭო, აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრება);</p>	<p>8.1.7. The Borrower's representative has the necessary power to conclude and execute this General Agreement and has obtained all necessary permits and approvals from the Borrower's relevant bodies (Board of Directors, Supervisory Board, General Meeting of Shareholders/Partners);</p>
<p>8.1.8. არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში (მოსარჩელის, მოპასუხის ან მესამე პირის სახით), რითაც საფრთხე ემუქრება მსესხებლის მიერ ბანკის წინაშე წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.</p>	<p>8.1.8. Does not participate in any litigation (as a plaintiff, defendant or third party), thus endangering the Borrower's proper performance of his/her obligations to the Bank under this General Agreement.</p>
<p>8.1.9. ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ იკისროს დამატებითი ფინანსური ვალდებულებები;</p>	<p>8.1.9. He/she does not incur additional financial liabilities without the prior written consent of the Bank;</p>
<p>არ განკარგოს ნებისმიერი სახით საკუთარი აქტივები/ქონება;</p>	<p>Does not dispose of its own assets/property in any way;</p>

<p>არ განახორციელოს საკუთარი მოძრავი ან უძრავი ქონების უფლებრივად დატვირთვა, როგორც თავისი, ისე სხვა პირის ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად, ასევე არ დაუდგეს თავდებად მესამე პირებს.</p>	<p>Will not encumber his/her movable or real property to secure his/her obligations as well as those of another person, nor pledge to third parties.</p>
<p>8.1.10. მსესხებლის აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.</p>	<p>8.1.10. The above representations and warranties of the Borrower shall be valid until the parties fully and duly fulfill their obligations assumed under the Agreement and/or any other agreement related to it, regardless of the complete or partial termination of the Agreement and/or any other agreement related to it.</p>
<p>8.2. მსესხებელი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე შეუზღუდავად (ნებისმიერი მოცულობითა და რაოდენობით):</p>	<p>8.2. The Borrower grants to the Bank the unconditional right at any time during the term of this Agreement, without limitation, without the additional consent of the Borrower (in any amount and quantity):</p>
<p>8.2.1. კანონმდებლობით დადგენილი წესით, მსესხებლისათვის საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს ბანკისთვის აუცილებელი, მსესხებლის პერსონალური მონაცემები (მონაცემები, ჩანაწერები ან/და საბუთები);</p>	<p>8.2.1. In a manner prescribed by law, in order to provide effective and uninterrupted banking services to the Borrower, and to the extent necessary to achieve this purpose, he/she shall obtain from the LEPL - State Services Development Agency to obtain the Borrower's personal data (data, records and/or documents) from the electronic database of the Bank;</p>
<p>8.2.2. სასამართლოს, არბიტრაჟს ან/და მესამე პირს (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) გადასცეს მსესხებლის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია (მათ შორის მსესხებლის საბანკო ანგარიშების, შესრულებული ოპერაციების, ანგარიშებზე არსებული ნაშთების, მსესხებლის ვალდებულებების შესახებ მონაცემები) და მსესხებელთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება;</p>	<p>8.2.2. He/she shall provide the court, arbitration and/or a third party (in cases provided for by law) with relevant information about the Borrower (including Borrower's bank accounts, transactions, account balances and liabilities) and any agreement concluded with the Borrower;</p>



<p>8.2.3. მსესხებლის თავდებს ან/და ნებისმიერ პირს, რომლის ქონებითაც უზრუნველყოფილია მსესხებლის ვალდებულების შესრულება, მიაწოდოს ინფორმაცია ბანკის მიმართ მსესხებლის ვალდებულების შესახებ და/ან ამ პუნქტში ჩამოთვლილთაგან ნებისმიერ პირს, მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცეს ბანკსა და მსესხებელს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების ასლი (მათ შორის, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობებისა და ნებისმიერი დანართ(ებ)ის ჩათვლით);</p>	<p>8.2.3. He/she shall provide the Borrower`s guarantor and/or any person whose property is used to secure the Borrower's liabilities with information on the Borrower's liabilities towards the Bank and/or, upon request, submit to any person listed in this paragraph a copy of the relevant agreement between the Bank and the Borrower (including a bank loan, Important terms of the agreement and its any attachment(s));</p>
<p>8.2.4. მსესხებლის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დროულად ან/და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, პრობლემური აქტივების მართვის მიზნით, ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პრობლემური აქტივების მართვის კომპანიებს, გადასცეს მსესხებლის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია და მსესხებელთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;</p>	<p>8.2.4. In case of failure of the Borrower to timely and/or properly fulfill any of the liabilities towards the Bank, in order to manage the troubled assets, he/she shall provide the Troubled Assets Management Companies, which have contractual relationships with the Bank, with relevant information about the Borrower, as well as with any agreements concluded with the Borrower, which, in turn, undertake to keep confidential the information provided by the Bank;</p>
<p>8.2.5. ბანკის აუდიტორებს, კონსულტანტებს, მრჩეველებს და სხვა მსგავსი კატეგორიის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, საჭიროების შესაბამისად, გადასცეს მსესხებლის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია და მსესხებელთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;</p>	<p>8.2.5. He/she shall, as necessary, submit to the auditors, consultants, advisers and natural persons and legal entities, relevant information on the Borrower and any agreement concluded with the Borrower, which, in turn, undertake to keep confidential the information provided by the Bank;</p>
<p>8.2.6. მსესხებლისათვის სხვადასხვა მომსახურების შეთავაზებისა და გაწევისათვის (მათ შორის სხვადასხვა პროდუქტების შეთავაზებისათვის) აუცილებელი ინფორმაცია (მ.შ. მსესხებლის პერსონალური მონაცემები), გადასცეს ბანკის შვილობილ კომპანიებს ან სხვა მონათესავე საწარმოს, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.</p>	<p>8.2.6. He/she shall submit the information necessary for offering and rendering various services to the Borrower (including offering different products) (including the Borrower's personal data) to the Bank's subsidiaries or other related enterprises, which, in turn, undertake to keep confidential the information provided by the Bank.</p>

<p>8.2.7. მსესხებელი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, მსესხებლის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე, მსესხებლის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მესამე პირებს:</p>	<p>8.2.7. The Borrower shall grant the Bank the unconditional right to provide information about the Borrower to third parties without the additional prior or subsequent consent or acceptance of the Borrower:</p>
<p>ა) მსესხებლის მიერ გენერალური ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად ბანკის უფლებების განხორციელების მიზნით, ან/და მსესხებლის მიერ გენერალური ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით ან</p>	<p>A) for the purpose of exercising the rights of the Bank by the Borrower due to non-compliance or improper performance of the terms of the General Agreement and/or other related agreements, and/or for the purpose of monitoring the fulfillment of the terms of the General Agreement and/or related agreements by the Borrower;</p>
<p>ბ) რომლებიც დაინტერესებულნი არიან ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბანკის მოთხოვნების შექმნით/სინდიცირებით ან/და მსესხებლის ვალდებულებების გადაკისრებით.</p>	<p>B) which are interested in purchasing/syndicating the Bank's claims arising from the Agreement and/or other related agreements and/or, in passing on the Borrower's liabilities.</p>
<p>8.2.8. მსესხებელი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას მსესხებლის კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შემოწმების, მისთვის მომსახურების გაწევის, შეთავაზებისა და სხვა კანონიერი მიზნით, ძიებების რაოდენობის შეუზღუდავად მოიძიოს მსესხებლის შესახებ ინფორმაცია საკრედიტო ბიუროს მონაცემთა ბაზაში და ასევე, გადასცეს მასთან არსებული ინფორმაცია სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“-ს მსესხებლის საკრედიტო ისტორიაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების შესახებ.</p>	<p>8.2.8. In order to allow the Bank to verify the Borrower`s creditworthiness/solvency, to render and offer to him/her services, and for any other lawful purpose, the Borrower shall grant the Bank the unconditional right to search for information on the Borrower, without limiting the number of searches, in the Credit Bureau`s database and also provide information he/she keeps on any changes/additions to the Borrower`s credit history in the JSC Credit Information Bureau Creditinfo Georgia.</p>
<p>ბანკი შეაგროვებს/დაამუშავებს მსესხებლის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“-სთვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.</p>	<p>The Bank will collect/process all the credit/non-credit and other relevant information about the owner that is related to the provision and receipt of information to JSC Creditinfo Georgia in accordance with the rules and conditions provided for by the legislation of Georgia.</p>

<p>აღნიშნული ინფორმაცია მუშავდება მსესხებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული სესხის გამცემი ორგანიზაციებისათვის და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p>	<p>This information is processed for the purpose of analyzing the solvency of the owner and will be available to lending organizations involved in the Credit Information Bureau and to recipients/suppliers of information in a manner prescribed by law.</p>
<p>8.2.9. სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“ (ს/ნ 204470740) წარმოადგენს საკრედიტო ბიუროს და ის უფლებამოსილია მიღებული ინფორმაცია/პერსონალური მონაცემები დაამუშავოს/გადაამუშავოს და გადასცეს მესამე პირებს, პირის კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შეფასების, შემოწმების ან/და სხვა კანონიერი მიზნით;</p>	<p>21.2. JSC "Credit Information Bureau Creditinfo Georgia" (i/n 204470740) is a credit bureau and it is authorized to process/re-process and transfer the received information/personal data to third parties for the purpose of assessing and checking creditworthiness of a person and/or for other legal purpose;</p>
<p>8.2.10. სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოსათვის“ გადასაცემი და მისგან მისაღები ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, აგრეთვე მსესხებლის აქციონერების/დამფუძნებლების და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე საკრედიტო/სასესხო თუ სხვა სახის ფინანსური ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ საპროცენტო სარგებელს, მოქმედების ვადას, პირის მიერ საკრედიტო/სასესხო თუ სხვა სახის ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის ოდენობასა და უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო, საარბიტრაჟო დავის არსებობის შემთხვევაში - შესაბამის სასამართლო, საარბიტრაჟო სამართალწარმოებისა და სააღსრულებო წარმოების შედეგს, აგრეთვე მონაცემთა ბაზისთვის საჭირო სხვა მონაცემებს.</p>	<p>8.2.10. The information to be submitted to and obtained from the JSC "Credit Information Bureau for Creditinfo Georgia" shall, without any restrictions, include the Borrower's identification data, as well as the names and identification data of the Borrower 's shareholders/founders and authorized representatives, grounds for current credit/loan or other financial liabilities, amount, purpose, accrued interest, term of validity, timeliness of payment, by the person, of credit/loan or other financial liabilities, debt balance, amount of the collateral and identification data for the collateral, and in case of arbitration dispute - the result of the relevant court, arbitration and enforcement proceedings, as well as other data required for the database.</p>

<p>8.2.11. მსესხებელს გაცნობიერებული აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომ მსესხებლის მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამამუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მომხმარებლის შესახებ მონაცემები (მათ შორის პერსონალურ მონაცემები), თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.</p>	<p>8.2.11. The Borrower is aware of the statutory rights, under which, at the request of the Borrower, the Data Processor shall be obliged to correct, update, add, block, delete or destroy user data (including personal data) if they are incomplete, inaccurate, not updated, or if they have been collected and processed in breach of the law.</p>
<p>8.2.12 მსესხებელი ადასტურებს, რომ იგი გაეცნო და ეთანხმება სს „პაშა ბანკი საქართველოს“ ოფიციალურ <a href="https://www.pashabank.ge/ge/privacy-policy">https://www.pashabank.ge/ge/privacy-policy</a> ვებ-გვერდზე განთავსებულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას, მათ შორის და არა მხოლოდ მისი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ და აცხადებს თანხმობას ბანკმა დაამუშაოს მისი პერსონალური მონაცემები პოლიტიკაში გაწერილი წესებისა და პირობების შესაბამისად. მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მსესხებელი ბანკს ანიჭებს უფლებას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან ან/და მსგავსი პროფილის/უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოსგან/პირისგან მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია მსესხებლის შესახებ (მათ შორის პერსონალური მონაცემები) ანგარიშ(ებ)ის გახსნის, ოპერაცი(ებ)ის წარმოების ან/და მომსახურების გაწევის დროს.</p>	<p>8.2.12 The Borrower confirms that he/she/it has read and agree to the Personal Data Protection Policy of JSC "PASHA Bank Georgia," available on the official website at <a href="https://www.pashabank.ge/ge/privacy-policy">https://www.pashabank.ge/ge/privacy-policy</a> including but not limited to the mechanisms for the protection of their rights, and consents to the Bank processing his/her personal data in accordance with the rules and conditions outlined in the policy. For the purpose of service improvement, the Borrower grants the Bank the right to request and receive information about the Borrower (including personal data) from the National Agency of Public Registry, the State Services Development Agency, and/or other similar entities or authorized bodies/persons during account opening, transaction execution, or service provision.</p>
<p>8.3. მსესხებელი ადასტურებს, რომ მისი საქმიანობა აკმაყოფილებს გარემოსდაცვით, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და შრომის მარეგულირებელი ყველა ნორმატიული აქტის მოთხოვნებს;</p>	<p>8.3. The Borrower confirms that his/her activities meet the requirements of all normative acts relating to the environment, health, safety and labour;</p>
<p>8.3.1. მსესხებელი ვალდებულია:</p>	<p>8.3.1. The Borrower shall be obliged to:</p>
<p>8.3.1.1. უზრუნველყოს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების დაცვა, ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში შეიმუშაოს ამ რისკების კონტროლის სამოქმედო გეგმა (სტრატეგია) და განახორციელოს ბანკის მიერ მოთხოვნილი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების წინააღმდეგ (შესამცირებლად ან/და თავიდან ასაცილებლად) მიმართული ქმედებები ან/და ინვესტიციები;</p>	<p>8.3.1.1. Ensure protection against environmental and social risks, develop an action plan (strategy) for the control of these risks at the request of the Bank and implement actions and/or investments against the environmental and social risks requested by the Bank (for their reduction and/or prevention);</p>

<p>8.3.1.2. ბანკს აცნობოს ნებისმიერი ინციდენტის ან/და საგანგებო სიტუაციის შესახებ, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი/საზიანო ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე, ადამიანების (მაგალითად დასაქმებულების, მეზობლების, მომხმარებლების) ჯანმრთელობაზე ან/და უსაფრთხოებაზე;</p>	<p>8.3.1.2. Notify the Bank of any incidents and/or emergencies that may have a negative/adverse effect on the environment, the health and/or safety of people (such as employees, neighbours, consumers);</p>
<p>8.3.1.3. მიაწოდოს ბანკს ინფორმაცია მსესხებლის მიერ განხორციელებული ან/და განსახორციელებელი ნებისმიერი ქმედების შესახებ, რომელიც მიმართული იქნება ზიანის ანაზღაურებისკენ მოქმედი კანონმდებლობის (შესაბამისი ნორმატიული აქტების შესაბამისად).</p>	<p>8.3.1.3. Provide the Bank with information on any actions taken and/ or to be taken by the Borrower, which will aim to compensate the damage in accordance with the legislation in force (relevant normative acts).</p>
<p>8.3.1.4. ბანკს აცნობოს ამ გენერალური ხელშეკრულების წინამდებარე პუნქტებში აღწერილი რომელიმე მოთხოვნის ნებისმიერი დარღვევის შესახებ.</p>	<p>8.3.1.4. Notify the Bank of any breach of any of the requirements described in these paragraphs of this General Agreement.</p>
<p><b>8<sup>1</sup> ხელშეკრულების დისტანციურად ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით გაფორმება.</b></p> <p>8<sup>1</sup>.1. მსესხებელი აცნობიერებს და თანხმდება, რომ ბანკთან გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტი/ხელშეკრულება, მათ შორის სესხის/კრედიტის/საბანკო პროდუქტების ხელშეკრულებები, შეიძლება გაფორმდეს დისტანციურად ელექტრონული ხელმოწერების/კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით, ბანკის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ელექტრონული ხელმოწერის სიგნიფაის (Signify) პლატფორმის ან ბანკის მიერ დამტკიცებული ნებისმიერი სხვა ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმის გამოყენებით გაფორმებულ დოკუმენტებს/ხელშეკრულებებს.</p> <p>8<sup>1</sup>.2. მსესხებელი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკთან ურთიერთობაში ნებისმიერი დოკუმენტი/ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს ელექტრონულად, მსესხებლის მიერ ბანკის მონაცემთა ბაზაში სათანადო წესით რეგისტრირებული ელექტრონული ფოსტის და ტელეფონის ნომრის გამოყენებით.</p> <p>8<sup>1</sup>.3. მსესხებელი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ელექტრონული ხელმოწერით გაფორმებულ დოკუმენტებს/ხელშეკრულებებს აქვთ იგივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალური ფორმით და პირადი ხელმოწერით (სველი ხელმოწერით) გაფორმებულ დოკუმენტებს/ხელშეკრულებებს.</p>	<p><b>8<sup>1</sup>. Signing the Agreement Remotely via Electronic Signature</b></p> <p>81.1. The Borrower acknowledges and agrees that any document or contract signed with the Bank, including loan/credit/banking product agreements, may be signed remotely via electronic signatures or qualified electronic signatures, in accordance with the procedures established by the Bank. This includes, but is not limited to, documents/contracts signed through the Signify platform for electronic signatures or any other electronic signature platform approved by the Bank.</p> <p>8<sup>1</sup>.2. The Borrower consents that any document/contract in the relationship with the Bank may be signed electronically, using the e-mail address and phone number properly registered in the Bank's database by the Borrower.</p> <p>8<sup>1</sup>.3. The borrower acknowledges and confirms that documents/contracts signed with an electronic signature have the same legal force as documents/contracts signed in material form and with a personal (wet) signature.</p>

<p>8<sup>1</sup>.4. მსესხებელი ადასტურებს, რომ დოკუმენტის/ხელშეკრულების დისტანციურად ელექტრონული ხელმოწერების მეშვეობით გაფორმების პროცესში გამოიყენებს მხოლოდ ბანკის მონაცემთა ბაზაში სათანადო წესით რეგისტრირებულ და ავტორიზებულ ელექტრონული ფოსტის მისამართს, ტელეფონის ნომერს და საკონტაქტო მონაცემებს. არარეგისტრირებული ან/და არა ავტორიზებული მონაცემების გამოყენების ნებისმიერი მცდელობა ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად და მსესხებელი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს ნებისმიერი ზიანი/ზარალი, რომელიც გამოწვეული იქნება არარეგისტრირებული ან/და არაავტორიზებული ელექტრონული ფოსტის და საკონტაქტო მონაცემების მეშვეობით დოკუმენტის/ხელშეკრულების გაფორმებით ან/და გაფორმების მცდელობით.</p>	<p>8<sup>1</sup>.4. The borrower confirms that during the process of signing documents/contracts remotely via electronic signatures, they will use only the email address, phone number, and contact details that are properly registered and authorized in the Bank's database. Any attempt to use unregistered or unauthorized details will be considered a breach of contract, and the Borrower must compensate the Bank for any damage or loss caused by signing or attempting to sign documents/contracts using unregistered or unauthorized e-mail or contact details.</p>
<p>8<sup>1</sup>.5. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელმა შეცვალა ან/და დაკარგა წვდომა ელექტრონული ფოსტის მისამართზე/ტელეფონის ნომერზე და არ შეატყობინა ბანკს აღნიშნულის შესახებ, ბანკის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტი/ხელშეკრულება ჩაითვლება მსესხებლის მიერ გაფორმებულად და იურიდიული ძალის მქონედ.</p>	<p>81.5. In case the borrower changes or loses access to their e-mail address or phone number and does not notify the Bank, any document/contract signed via the e-mail address registered in the Bank's database will be considered signed by the Borrower and legally binding.</p>
<p>8<sup>1</sup>.6. დისტანციურად ელექტრონული ხელმოწერების მეშვეობით დოკუმენტის/ხელშეკრულების გაფორმებისას მსესხებელმა უნდა დაიცვას ბანკის უსაფრთხოებისა და ძლიერი ავთენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესები და გაიაროს შესაბამისი პროცესები.</p>	<p>8<sup>1</sup>.6. When signing documents/contracts remotely via electronic signatures, the borrower must follow the Bank's security rules and strong authentication and verification processes.</p>
<p>8<sup>1</sup>.7. ბანკი არ არის პასუხისმგებელი დოკუმენტის/ხელშეკრულების დისტანციურად ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით გაფორმებისას ელექტრონული ფოსტის მისამართის/ტელეფონის, ელექტრონული ხელმოწერის სისტემაზე (პლატფორმაზე) უნებართვო წვდომაზე ან/და არასწორი გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერი სახის ზიანზე.</p>	<p>8<sup>1</sup>.7. The Bank is not responsible for any damages caused by unauthorized access to the Borrower's email address/phone number or the electronic signature system (platform) during the remote electronic signing process, or from incorrect use.</p>
<p>8<sup>1</sup>.8. მსესხებელი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს ნებისმიერი დანაკარგი, ჯარიმა, სანქცია, ზიანი და ხარჯი (მათ შორის ადვოკატის საფასურის ჩათვლით) და დაიცვას ბანკი ნებისმიერი პასუხისმგებლობისგან, სარჩელისგან, პრეტენზიისგან (მათ შორის მესამე პირის პრეტენზიებისგან), რომელიც შეიძლება წარმოიშვას მსესხებლის მიერ დოკუმენტის/ხელშეკრულების დისტანციურად ელექტრონული ხელმოწერით გაფორმებისას არაავტორიზებული და უნებართვო წვდომით, არასწორი გამოყენებით ან/და ავთენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესების დარღვევით.</p>	<p>8<sup>1</sup>.8. The Borrower is obligated to compensate the Bank for any loss, fine, sanction, damage, or expense (including attorney fees) and to protect the Bank from any liability, claim, or legal action (including claims by third parties) that may arise from unauthorized or improper access, incorrect use, or violations</p>

<p><b>მუხლი 9. მხარეთა ურთიერთპასუხისმგებლობა; ხელშეკრულებაზე უარის თქმა</b></p>	<p><b>Article 9. Mutual responsibility of the parties; Waiving the Agreement</b></p>
<p>9.1. გენერალური ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.</p>	<p>9.1. Each Party to the General Agreement shall have the right to require from the other Party diligent fulfilment of the obligations arising from this Agreement and the applicable legislation;</p>
<p>9.2. ბანკის და მსესხებლის პასუხისმგებლობა ვალდებულებათა შესრულების ვადების გადაცილებისათვის განისაზღვრება ამ გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული კონკრეტული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით და დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებით.</p>	<p>9.2. The liability of the Bank and the Borrower for overdue liabilities shall be determined by the Specific Bank Credit Agreement concluded under this General Agreement and the Documentary Transaction Agreement.</p>
<p>9.3. ბანკი უფლებამოსილია ვადაზე ადრე უარი თქვას წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებაზე ცალმხრივი ნების გამოვლინებით იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი არ ასრულებს ამ გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულებით ან/და დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებით ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებებით (იპოთეკა, გირავნობა, თავდებობა, საბანკო გარანტია) ნაკისრ ვალდებულებებს.</p>	<p>9.3. The Bank shall be entitled to wave this General Agreement prematurely by expressing its unilateral will in case the Borrower fails to fulfill the specific credit agreement concluded under this General Agreement and/or the Documentary Transactions Agreement and/or the Security Agreements (Mortgage, Pledge, Surety, Bank Guarantee).</p>
<p>9.4. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების შეწყვეტის მიუხედავად მისი დებულებები მოქმედებს იმ კონკრეტული საბანკო საკრედიტო და დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რომლებიც ძალაში შევიდა წინამდებარე ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ან შეწყვეტამდე.</p>	<p>9.4. Notwithstanding the termination of this General Agreement, its provisions shall apply to the agreements on the conduct of specific bank credit and documentary transactions, which entered into force before the expiration or termination of this Agreement.</p>
<p><b>მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედება</b></p>	<p><b>Article 10. Validity of the Agreement</b></p>
<p>10.1. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.</p>	<p>11.1. The General Agreement shall enter into force from the moment it is signed by the parties and shall remain in force until the full fulfillment of the obligations assumed by the parties.</p>

<p>10.2. ყველა კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულება და დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულება ძალაში შესვლის დღიდან ხდება წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი და მათზე სრულად ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები.</p>	<p>10.2. All specific credit agreements and documentary transactions agreements shall, from the day of entry into force, become an integral part of this Agreement and shall be fully covered by the provisions of this Agreement.</p>
<p>10.3. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.</p>	<p>10.3. By a written agreement between the parties, amendments and additions may be made to this Agreement. That written agreement shall be an annex to this Agreement and an integral part thereof.</p>
<p>ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ცვლილებებს და დამატებებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებით, რომელთა დასარეგულირებლადაც შეტანილი არის ამგვარი ცვლილებები და დამატებები.</p>	<p>Amendments and additions to this Agreement shall prevail over matters for the regulation of which such amendments and additions are made.</p>
<p>ამასთან მსესხებელი იღებს ვალდებულებას, ამ მუხლის შესაბამისად განხორციელებული ცვლილების/დამატების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ამ ხელშეკრულების უზრუნველყოფის საგნის მიმწოდებელ პირებს (მათ შორის თავდებ პირებს), რომლებიც არ წარმოადგენენ უშუალოდ მსესხებელს/მსესხებლებს.</p>	<p>In addition, the Borrower shall undertake to provide information on changes/additions made in accordance with this article to the suppliers of the collateral for this Agreement (including the guarantors), who are not directly the Borrower/Borrowers.</p>
<p>ამასთან, სპეციფიკური საფინანსო პროდუქტით სარგებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებისას, გარდა მსესხებელის სასარგებლოდ განხორციელებული ცვლილებისა, მსესხებლის, ასევე ხელშეკრულების თავდების, უზრუნველყოფის მესაკუთრის ინფორმირება ბანკის მხრიდან მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა კომინიუნკაციის საშუალებით.</p>	<p>In addition, in case of significant changes made to the terms of the Agreement when using a specific financial product, except for the change made in favor of the Borrower, the latter, as well as the guarantor of the Agreement and the owner of the collateral shall be informed by the Bank at least 2 (two) months before the change, and in case of increase in the price of another financial product- at least a month earlier by a written notification/e-mail/Internet banking/short text message or other means of communications specified in the Agreement.</p>



<p>10.4. მიუხედავად 10.3 პუნქტში გათვალისწინებული შეზღუდვისა, მსესხებლისათვის 1 (ერთი) თვით ადრე შეტყობინების საფუძველზე, ხოლო სპეციფიკური საფინანსო პროდუქტით სარგებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში, აღნიშნული ფაქტის დადგომამდე არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე შეტყობინების საფუძველზე (წინამდებარე ხელშეკრულების 13.10 და 13.11 პუნქტებით გათვალისწინებული წესით), ბანკი უფლებამოსილია ქვეყანაში ინფლაციის დონის ან/და სავალუტო რისკის გაზრდის ან/და სხვა გლობალური ან/და რეგიონალური ხასიათის სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორების ან/და ქვეყანაში სხვა ნეგატიური პროცესების გათვალისწინებით, ცალმხრივად შეიტანოს ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებები:</p>	<p>10.4. Notwithstanding the limitation provided for by paragraph 10.3, on notice to the Borrower 1 (one) month in advance, at least 2 (two) months prior to a significant change to the terms of the Agreement in the case of a specific financial product, and not less than 1 (one) month earlier in the event of an increase in the price of another financial product, upon prior notification (in accordance with paragraphs 13.10 and 13.11 of this Agreement), the Bank, taking into account the increase of the level of inflation and/or currency risk in the country and/or other global and/or socio-economic factors and/or other negative processes in the country, shall be entitled to unilaterally make the following changes to the Agreement:</p>
<p>10.4.1. შეამციროს საბანკო პროდუქტის მოცულობა;</p>	<p>10.4.1. Reduce the volume of the banking product;</p>
<p>10.4.2. შეცვალოს გენერალური ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით დადგენილი საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს ოდენობა(ები);</p>	<p>10.4.2. Change the amount of interest, fee and/or fine set forth by the General Agreement and/or other related agreement (s);</p>
<p>10.4.3. შეცვალოს გენერალური ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული გადახდის ვადა/ვადები;</p>	<p>10.4.3. Change the payment term/terms provided for by the General Agreement and/or other related Agreement(s);</p>
<p>10.4.4. შეცვალოს გენერალური ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)ის სხვა პირობები;</p>	<p>10.4.4. Change other terms of the General Agreement and/or related agreement(s);</p>

<p>10.5. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი არ ეთანხმება 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ შეცვლილ პირობებს, იგი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს ბანკს და 1 (ერთი) თვის განმავლობაში, ხოლო სპეციფიკური საფინანსო პროდუქტით სარგებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებამდე 2 (ორი) თვის განმავლობაში, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში, აღნიშნული ფაქტის დადგომამდე 1 (ერთი) თვის განმავლობაში ვადამდე დაფაროს მიღებული საბანკო პროდუქტი დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად.</p>	<p>10.5. If the Borrower disagrees with the changed terms provided for by paragraph 10.4., he/she shall be obliged to notify the Bank thereof and within 1 (one) month, and in case of using a specific financial product- within 2 (two) months before significant changes are made to the terms of the Agreement, and in case of increase in the price of another financial product- within 1 (one) month after the occurrence of the above fact, the Borrower shall prematurely repay the received banking product together with the accrued interest.</p>
<p>ამ შემთხვევაში მსესხებელს არ დაეკისრება პირგასამტეხლო საბანკო პროდუქტის ვადამდე დაფარვისათვის. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი, არ ისარგებლებს წინამდებარე პუნქტში აღწერილი უფლებით, ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება მსესხებლის მიერ მიღებულად, ხელშეკრულება კი შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად.</p>	<p>In this case, the borrower will not be charged a penalty for early repayment of the banking product. If the Borrower does not exercise the right described in this paragraph, the changes (additions) proposed by the Bank shall be deemed to have been accepted by the Borrower and the Agreement shall be deemed to have been amended in accordance with the proposed terms.</p>
<p>10.6. სპეციფიკური საფინანსო პროდუქტი – კრედიტი, მათ შორის, ოვერდრაფტი, საკრედიტო ბარათი, რომლის მთლიანი თანხა ნაკლებია 1 000 000 ლარზე ან მის ეკვივალენტზე სხვა ვალუტაში, ასევე, დეპოზიტი, რომლის პირველადი შენატანი ნაკლებია 1 000 000 ლარზე ან მის ეკვივალენტზე სხვა ვალუტაში.</p>	<p>10.6. Specific financial product - credit, including overdraft, credit card with a total amount of less than GEL 1,000,000 or its equivalent in another currency, as well as a deposit with an initial deposit of less than GEL 1,000,000 or its equivalent in another currency.</p>
<p>ამასთან, მიუხედავად მოცულობისა, არ გაითვალისწინება იურიდიულ პირზე, ასევე, დაკავშირებულ საწარმოში შემავალ პირებზე გაცემული კრედიტი/დეპოზიტი, თუ ამ პირზე/პირებზე იმავე ბანკში უკვე გაცემული და აქტიური კრედიტების ან დეპოზიტების ჯამური მოცულობა აღემატება 1 000 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში.</p>	<p>However, regardless of the volume, the credit/deposit issued to a legal entity, as well as to persons affiliated with the related enterprise, shall not be taken into account, if the total volume of active credits or deposits already issued to that person/persons in the same bank exceeds GEL 1,000,000 or its equivalent in another currency.</p>

<p>10.7. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ წინამდებარე ან/და მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულების პირობების ცვლილებას, ბანკი განახორციელებს მსესხებლის სასარგებლოდ, ბანკი არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს მსესხებელს ცვლილების შესახებ.</p>	<p>10.7. The parties agree that if the bank makes changes to the terms of this Agreement or any additional agreement concluded based on the above Agreement in favor of the Borrower, the bank shall not be obliged to give a prior notification to the Borrower of the changes.</p>
<p>მსესხებლის სასარგებლოდ სახელშეკრულებო პირობების ნებისმიერ ცვლილებას მსესხებელი შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ ბანკის მხრიდან, შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების ცვლილების, ოფიციალურად, წერილობით, დადასტურების შემთხვევაში.</p>	<p>The Borrower may rely on any change in the terms of the Agreement in favor of the Borrower only in the event of a formal, written, confirmation by the Bank of a change to the relevant terms of the Agreement.</p>
<p>მსესხებელს ნებისმიერ დროს აქვს უფლება მოსთხოვოს ბანკს ინფორმაცია, მის სასარგებლოდ სახელშეკრულებო პირობების ცვლილებაზე.</p>	<p>At any time, the Borrower has the right to request from the Bank information on the change made to the terms of the Agreement in his/her favor.</p>
<p>მუხლი 11. დაზღვევა</p>	<p>Article 11. Insurance</p>
<p>11.1. მსესხებელი ვალდებულია ბანკის მოთხოვნისას დააზღვიოს ამავე მოთხოვნით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევები (მათ შორის მსესხებლის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის დაზღვევა, კრედიტის უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის დაზღვევა, კრედიტის დაუბრუნებლობის რისკის დაზღვევა) ბანკის სასარგებლოდ, რა შემთხვევაშიც დაზღვევის ბენეფიციარს უნდა წარმოადგენდეს ბანკი ან/და ბანკის მიერ დასახელებული პირი.</p>	<p>11.1. The Borrower shall, upon request of the Bank, be obliged to insure the insurance cases specified in the same request (including the Borrower's life and/or health insurance, insurance of the credit collateral, insurance of failure to return the credit) in favor of the Bank, in which case the Bank and/or the beneficiary shall be the insurance beneficiary.</p>
<p>ამასთან, დაზღვევა (ფრანშიზას გამოკლებით) სრულად უნდა ფარავდეს ბანკის ან/და ბანკის მიერ დასახელებული პირის მოთხოვნებს და დაზღვევის ერთჯერადი ან ჯამური ვადა არ უნდა იყოს გენერალური ხელშეკრულების ან/და დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)ის მოქმედების ვადაზე ნაკლები;</p>	<p>In addition, the insurance (excluding the franchise) must fully cover the requirements of the bank and/or the person named by the bank and the one-time or total term of the insurance shall not be less than the term of the General Agreement and/or related agreement(s);</p>
<p>11.2. მსესხებელმა დაზღვევა უნდა განახორციელოს ბანკის მიერ მოთხოვნილი პირობების დაცვით, რომლებიც წინასწარ გადაეცემა მას და ბანკი უფლებამოსილია არ მიიღოს ისეთი სადაზღვევო პოლისი, რომელიც წინასწარ განსაზღვრულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს.</p>	<p>11.2. The Borrower shall carry out the insurance in accordance with the terms and conditions required by the Bank, which shall be provided to it in advance, and the Bank shall be entitled not to accept any insurance policy which does not meet the requirements specified in advance.</p>

<p><b>11<sup>1</sup> მექრთამეობის, გადასახადებისგან თავის არიდების და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა</b></p> <p>11<sup>1.1</sup> “მსესხებელი” აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:</p> <p>11<sup>1.1.1</sup> მსესხებელი მისი შვილობილი, მშობელი კომპანიები, ასევე მასთან დაკავშირებული პირები თავიანთ საქმიანობასა და ბიზნეს ურთიერთობებს წარმართავენ კეთილსინდისიერად და მართლზომიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით. მსესხებელს გააჩნია ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის, მექრთამეობის საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდებისა და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ და აღნიშნულ საკითგებს უწყევს მუდმივ კონტროლს.</p> <p>11<sup>1.1.2</sup> „მსესხებელი“, ასევე მასთან დაკავშირებული პირები: მისი შვილობილი, მშობელი კომპანიების უმაღლესი მენეჯმენტის წევრები, უფლებამოსილი პირები, წარმომადგენლები, თანამშრომლები, სხვა პერსონალი არ მიიღებენ მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ხელშეწყობას (პირდაპირ ან ირიბად) ნებისმიერი ფორმით ასევე, საჩუქრის, მასპინძლობის, ჯილდოების და სხვა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შეთავაზებას, მიღებას, მიწოდებას, გაცემას ან მოთხოვნას (პირდაპირ ან ირიბად, რათა შეიქმნას ნებისმიერი ტიპის კომერციული, კონტრაქტული, რეგულატორული ან პირადი უპირატესობა და/ან წახალისდეს ან დაჯილდოვდეს ქმედება რომელიც არის უკანონო და არაეთიკური.</p> <p>11<sup>1.1.3</sup> მსესხებელი, მასთან დაკავშირებული პირები არ ყოფილან ცნობილი დამნაშავედ ან/და ბრალდებული კორუფციის, მექრთამეობის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ან ხელშეწყობის კუთხით.</p> <p>11<sup>1.1.4</sup> მსესხებელს ან მასთან დაკავშირებულ პირს ხელშეკრულების გაფორმებისას, პირდაპირ ან ირიბად არ გადაუხდია, არ მიუღია, არ ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს, ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული საკომისიო, ქრთამი, ან/და ანაზღაურება.</p> <p>11<sup>1.1.5</sup> ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს როგორც ამ,</p>	<p><b>11<sup>1</sup> Anti-Bribery, Tax Evasion and Anti-Corruption Policy</b></p> <p>11<sup>1.1</sup> The Borrower declares and guarantees that:</p> <p>11<sup>1.1.1</sup> The Borrower its subsidiaries, parent companies, and related persons shall conduct their activities and business relationships in good faith and lawful conduct, observing high standards of ethics. The Borrower has zero tolerance policy towards corruption, bribery. Tax fraud, tax evasion and any other kind of criminal acts and keep the above-mentioned issues under permanent control.</p> <p>11<sup>1.1.2</sup> The Borrower, as well as persons connected to it: members of the senior management, authorized persons, representatives, employees or other staff of its subsidiaries or parent companies shall not participate in any activities, which may mean to facilitate of (direct or indirect) corruption, tax fraud and tax evasion in any form, offer, receive, deliver, issue or request gifts, hospitality, awards and other intangible assets, (either directly or indirectly), to create any kind of commercial, contractual, regulatory or personal preferences and/or encourage or reward any illegal and unethical behavior;</p> <p>11<sup>1.1.3</sup> The Borrower or a person associated to it has not been found guilty and/or accused in corruption, tax fraud and facilitation of tax evasion cases.</p> <p>11<sup>1.1.4</sup> The Borrower or its related entities during setting up the Agreement, has not, directly or indirectly, paid, received, been involved in any transaction, according to which any illegal and/or hidden fees, bribe and/or compensation should be paid or received;</p> <p>11<sup>1.1.5</sup> A breach of any provision of the above Policy may lead to the termination of both this contract and any previous agreement between the</p>
--	--

<p>ისე მხარეებს შორის აქამდე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების შეწყვეტა. ზემოთაღნიშნული გარანტიების დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, ბანკს აქვს უფლება, შემოწმების მიზნით, მსესხებელს მოსთხოვოს ანგარიშგებებისა და ჩანაწერების მოწოდება.</p>	<p>Parties. Depending on the seriousness of violations of the above guarantees, the Bank has the right to demand that the Borrower provide its statements and records.</p>
<p>მუხლი 12. დავების გადაწყვეტა</p>	<p>Article 12. Settlement of Disputes</p>
<p>12.1. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეთა შორის ნებისმიერი უთანხმოება და დავა წყდება მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ამ მუხლის შესაბამისად:</p>	<p>12.1. Any disagreement and dispute between the parties shall be settled on the basis of negotiations. In case of failure to reach an agreement, the dispute shall be settled by the common courts of Georgia in accordance with this article.</p>
<p>12.1.1 ბანკის მიერ გაგზავნილი გაფრთხილების წერილი ვალდებულების შესრულებისა და დამატებითი ვადის მიცემის შესახებ ჩაბარებულად ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნით;</p>	<p>12.1.1 A notice sent by the Bank regarding the fulfillment of obligations and the granting of an additional term shall be considered delivered by sending it to the e-mail address specified in this agreement.</p>
<p>12.1.2. მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს, მის მიერ წარდგენილ დოკუმენტებსა და ბანკისთვის მიწოდებულ ინფორმაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, მათ შორის, საკონტაქტო მონაცემების (იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა და სხვ.) შეცვლის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკისათვის ცნობილ საკონტაქტო მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება/გაფრთხილება ჩაითვლება ჩაბარებულად.</p>	<p>12.1.2. Shall immediately notify the Bank of any changes or additions made to the information that he/she has submitted to the Bank, and to the documents he/she has submitted, including concerning the change of contact details (legal/actual address, telephone number, e-mail, etc.); Otherwise, the notice/warning sent to the contact address that is known to the bank will be considered delivered.</p>
<p>ასევე, იქონიოს კომუნიკაციისთვის აუცილებელი მოწყობილობები და ქსელი (მათ შორის, მობილური ტელეფონი, კომპიუტერი, ინტერნეტი) გამართულ/ჩართულ მდგომარეობაში.</p>	<p>Also, he/she shall keep the necessary equipment and network for communication (including mobile phone, computer, Internet) in good working/switched on condition.</p>
<p>წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი არ აგებს პასუხს ამით გამოწვეულ შედეგებზე/ზიანზე;</p>	<p>Otherwise, the bank shall not be liable for the consequences/damage caused by this;</p>

<p>12.2. ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულ და ბანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია ბანკის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.</p>	<p>12.2. The information placed on the web-site of the Bank, the information protected in the Bank's database (in computer programs) as well as electronic and printed out copies of the information prepared by the Bank and signed by the director of the Bank or his/her lawful representative shall have evidentiary power for the purposes of confirming the existence/nonexistence of the facts related to this Agreement.</p>
<p>12.3. ბანკს უფლება აქვს მიმართოს ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით ამ ხელშეკრულების ან/და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტის საფუძველზე ან/და ასეთ დოკუმენტებთან დაკავშირებით წარმოშობილი ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების ვადამოსული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, რაც ნიშნავს იმას, რომ ბანკს უფლება აქვს ამ ხელშეკრულების ან/და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტის საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის იძულებითი აღსრულების გზით.</p>	<p>12.3. The Bank shall have the right to apply to the notary to request the issuance of a writ of execution on the basis of this Agreement and/or any document executed based on it and/or to satisfy the timely demand for payment of arrears arising in connection with such documents, which means that the bank is entitled to satisfy the claim arising on the basis of this Agreement and/or any document executed under it, by the compulsory execution of the writ of execution issued by a notary.</p>
<p>მუხლი 13. დასკვნითი დებულებები</p>	<p>Article 13. Final Provisions</p>
<p>13.1. იმ შემთხვევაში, თუ გენერალური ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების მხარეს წარმოადგენს ერთზე მეტი მსესხებელი, თითოეული ასეთი მსესხებლისათვის გენერალური ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საბანკო კრედიტის გაცემა ან/და დოკუმენტალური ოპერაციებით სარგებლობა შესაძლოა მოხდეს ინდივიდუალურად, ერთობლივად ან/და ცალკეული ჯგუფების მიხედვით.</p>	<p>13.1. In the event that more than one borrower is a party to the General Agreement and/or other related agreements, the bank credit under the General Agreement and/or other related agreements and/or documentary transactions may be provided to each such borrower individually, jointly and/or by separate groups.</p>

<p>თითოეული ასეთი მსესხებელი წარმოადგენს ბანკის მიმართ სოლიდარულ მოვალეს გენერალური ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე.</p>	<p>Each such borrower shall be a joint and several debtor to the Bank under his/her obligations under the General Agreement and/or other related agreements.</p>
<p>13.2. საბანკო პროდუქტის რამდენიმე მსესხებელზე გაცემის შემთხვევაში, კრედიტის თანხა, ბანკის შერჩევით, ჩაირიცხება ერთ-ერთი მსესხებლის ანგარიშზე.</p>	<p>13.2. In case of issuing a banking product to several borrowers, the loan amount, selected by the bank, will be credited to the account of one of the borrowers.</p>
<p>ამ წესით გაცემული საბანკო პროდუქტი ჩაითვლება ყველა მსესხებლის მიერ მიღებულად და ისინი წარმოადგენენ ბანკის წინაშე სოლიდარულ მოვალეებს, ამასთან სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად, მათზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებები.</p>	<p>The banking product issued in accordance with this rule shall be considered as received by all borrowers and they shall be joint and several debtors to the bank, in addition to other normative acts; they shall be subject to the provisions of the Civil Code of Georgia.</p>
<p>ერთ-ერთი მსესხებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევა მიჩნეულ იქნება ყველა მსესხებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევად და შესაბამისად, ყველა მსესხებელზე სოლიდარულად გავრცელდება ამგვარი დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობა.</p>	<p>Breach of the Agreement by one of the borrowers will be considered as breach of the Agreement by all borrowers and consequently, all borrowers will be jointly and severally liable for such breach.</p>
<p>13.3. თითოეული მსესხებლის სოლიდარული პასუხისმგებლობა ვრცელდება გენერალური ხელშეკრულებით და მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან მიმართებაშიც, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ეს მსესხებელი მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების მხარეს.</p>	<p>13.3. The joint and several liability of each borrower shall extend to the obligations under the General Agreement and other related agreements, regardless of whether or not the borrower is a party to other related agreements.</p>
<p>13.4. თითოეული მსესხებლის სოლიდარული პასუხისმგებლობა ძალაშია მიუხედავად მათ მიერ გენერალური ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების უზრუნველსაყოფად ბანკის სასარგებლოდ რაიმე ფორმით გაცემული დამატებითი ვალდებულების (მათ შორის, თავდებობის ან/და გარანტიის) არსებობა/არარსებობისა.</p>	<p>13.4. The joint liability of each borrower shall be valid regardless of the existence/absence of any additional liabilities (including surety and/or guarantee) issued by them in favor of the Bank in order to secure the obligation arising from the Agreement and/or other related agreements;</p>

<p>13.5. ერთ-ერთი მსესხებლის მიერ გენერალური ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ მსესხებელს და მის მიმართ ისარგებლოს გენერალური ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით.</p>	<p>13.5. In case of violation of the General Agreement and/or other related agreement(s) by one of the Borrowers, the Bank shall be entitled to make relevant requirements to any borrower and enjoy the rights provided for by the General Agreement and/or other related agreement(s), and/or statutory rights with respect to that borrower.</p>
<p>13.6. ბანკის მიერ ერთ-ერთი მსესხებლისთვის გაგზავნილი ნებისმიერი სახის შეტყობინება ჩაითვლება ყველა მსესხებლისთვის გაგზავნილ შეტყობინებად, ხოლო ერთ-ერთი მსესხებლის მიერ შეტყობინების მიღება ყველა მსესხებლის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღებად.</p>	<p>13.6. Any notice sent by the Bank to one of the borrowers shall be considered a notice sent to all borrowers, and the receipt of a notice by one of the Borrowers shall be deemed to be the receipt of the relevant notice by all borrowers.</p>
<p>13.7. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.</p>	<p>13.7. The failure of one of the parties to the Agreement to exercise any of the rights under the Agreement does not constitute a waiver of that right.</p>
<p>13.8. ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას.</p>	<p>13.8. The annulment of any provision of the Agreement does not invalidate the entire Agreement or its other provisions.</p>
<p>13.9. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე დადებულ კონკრეტულ ხელშეკრულებების დებულებებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში (შეუსაბამობა გულისხმობს ერთმანეთის გამომრიცხავ დებულებებს და არ გულისხმობს ერთმანეთის შემავსებელ დებულებებს) უპირატესობა მიენიჭება კონკრეტული ხელშეკრულებების დებულებებს.</p>	<p>13.9. In the event of any inconsistency between the provisions of this General Agreement and the specific agreements concluded under it (non-compliance implies mutually exclusive provisions and does not imply complementary provisions), the provisions of the specific agreements shall prevail.</p>
<p>13.10. მხარეთა შორის ნებისმიერი ოფიციალური კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით.</p>	<p>13.10. Any formal communication between the parties shall be performed in writing.</p>
<p>წერილობით ფორმას უთანაბრდება ელექტრონული ფოსტით ან/და ინტერნეტბანკით გაგზავნილი შეტყობინება.</p>	<p>The notice sent by e-mail and/or through the Internet Banking shall be equivalent to the notice in writing.</p>
<p>ასევე, შესაძლებელია შეტყობინების გაგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინებით (SMS) და მობაილბანკით, ხელშეკრულებაში მითითებულ რეკვიზიტებზე.</p>	<p>It is also possible to send a notice via short text message (SMS) and mobile banking, to the details specified in the Agreement.</p>



წინამდებარე ხელშეკრულებით შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება:	Notice under this Agreement shall be deemed to have been delivered:
13.10.1. ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.) მიერ;	21.5.1. On the day it is delivered to the addressee if its receipt is confirmed (including through electronic document, receipt, other relevant means of communication, etc. );
13.10.2. თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება სათანადო წესით გაგზავნილად და ადრესატის მიერ მიღებულად ჩაითვლება:	13.10.2. If the receipt of the notice is not confirmed by the addressee, any such notice shall be deemed to have been duly sent and received by the addressee:
ა) კურიერის ან საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში - (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია ბანკის მიერ, საფოსტო გზავნილის ჩაბარების ფორმაზე ფოსტის წარმომადგენლის მიერ ჩაბარებასთან/ჩაუბარებლობასთან დაკავშირებით ჩანაწერის განხორციელების დღეს, ან ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი), (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია მსესხებლის მიერ, ბანკის კანცელარიაში შეტყობინების დარეგისტრირების მომდევნო სამუშაო დღეს.	A) In case of sending a written notice by courier or postal service - (a) if the notice is sent by the Bank on the day when a record is made by the postal representative on the delivery form regarding the delivery or non-delivery of the postal item, or on the date of the confirmation of delivery (whichever occurs earlier), (b) if the notice is sent by the borrower on the business day following the registration of the notice with the bank`s office.
ბ) ინტერნეტ ბანკის მეშვეობით, ბანკის მიერ შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება შეტყობინების ფაქტობრივი გაცნობის დღეს ან თვის ბოლო კალენდარულ დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი).	B) In case of sending a notice by the Bank, via the Internet Bank, the notice shall be considered delivered on the date of actual receipt of the notification or the last calendar day of the month (whichever occurs earlier)
მსესხებელი ვალდებულია, რეგულარულად, თვეში ერთხელ მაინც გაეცნოს ინტერნეტ ბანკის მეშვეობით მიღებულ შეტყობინებებს.	The borrower shall be obliged to read the notices received through the Internet Banking at least once a month on a regular basis.
გ) ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია ბანკის მიერ, გაგზავნის თარიღიდან მე-2 სამუშაო დღეს, (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია მსესხებლის მიერ ბანკის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან.	C) in case of sending by e-mail, short text message and/or other electronic means - (a) if the notice is sent by the bank on the 2nd business day from the date of sending, (b) if the notice is sent by the owner from the date of confirmation of the relevant notice by the bank.

<p>13.11. თუ შეტყობინება გაგზავნილია ბანკის/სასამართლოს მიერ, იგი მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე ან თავს არიდებს მის მიღებას.</p>	<p>21.6. If a notice is sent by the bank/court, it shall be deemed received even if the notice is returned to the sending party due to the absence of the location at the address of dispatch/contact details, the addressee refuses to accept the notice or avoids receiving the notice.</p>
<p>13.12. მხარეები თანხმდებიან და მსესხებელი ითვალისწინებს, რომ წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების 13.10. პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი საკომუნიკაციო საშუალებებით ეცნობება ვადაგადაცილებისა და სხვა ნებისმიერი ტიპის დავალიანების წარმოშობის შესახებ, წინამდებარე ხელშეკრულების ან/და მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი სხვა შეთანხმებით განსაზღვრული მომსახურების შეწყვეტის/დროებით შეჩერების შესახებ, ასევე სესხის შესაძლო გასხვისების შესახებ - ასეთი ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.</p>	<p>13.12. The parties agree and the Borrower shall take into account that through one of the means of communication provided for by paragraph 13.10 of this General Agreement, they will be notified of the arrears and any other type of debt, of the termination/temporary suspension of the services specified in this Agreement and/or any other agreement concluded under it, as well as of possible loan alienation - not later than 5 (five) business days after the occurrence of such fact.</p>
<p>13.13. ბანკის მომსახურებით უკმაყოფილების შემთხვევაში მსესხებელს უფლება აქვს მიმართოს ბანკს პრეტენზიით ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.</p>	<p>13.13. In case of dissatisfaction with the bank's services, the Borrower shall have the right to file a claim against the bank orally, in writing or electronically.</p>
<p>პრეტენზიის ზეპირი ფორმით დასაფიქსირებლად მსესხებელს შეუძლია მიმართოს კონტაქტ ცენტრს (ბანკის სატელეფონო სერვისცენტრი) (+995 322) 26 50 00.</p>	<p>To communicate the claim orally, the Borrower can apply to the Contact Center (bank telephone service center) (+995 322) 26 50 00.</p>
<p>პრეტენზიის სტანდარტული წერილობითი ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებსა და სერვისცენტრებში.</p>	<p>The claim in a standard written format may be received at branches and service centers of the bank.</p>
<p>ელექტრონული ფორმით პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია ინტერნეტბანკის ან ბანკის ვებ-გვერდის <a href="http://www.pashabank.ge">www.pashabank.ge</a> საშუალებით.</p>	<p>Complaints can be submitted electronically through Internet Banking or the Bank's website (<a href="http://www.pashabank.ge">www.pashabank.ge</a>).</p>
<p>მსესხებლის მიერ დაფიქსირებული პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა, მსესხებლის მომართვისა და იდენტიფიკაციიდან არაუგვიანეს ერთი თვე.</p>	<p>The maximum time for reviewing a claim filed by the Borrower shall be not later than one month after the Borrower's application and identification.</p>

<p>პრეტენზიებს განიხილავს სს „პაშა ბანკი საქართველოს“ მომხმარებელთა გამოცდილების მართვის დეპარტამენტი.</p>	<p>The claims shall be reviewed by the Department of Customers Experience Management of JSC PASHA Bank Georgia.</p>
<p>პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, მსესხებელს ეცნობება დაუყოვნებლივ წერილობით ან ელექტრონულად (მსესხებელთან შეთანხმებით და/ან პრეტენზიის დაფიქსირების მეთოდის იდენტურად) პრეტენზიის განხილვის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ ფილიალში/სერვისცენტრში და/ან დისტანციური არხების საშუალებით.</p>	<p>The Borrower shall be notified of the decision made in respect of the claim immediately in writing or electronically (in agreement with the Borrower and/or identical to the method of filing the claim). Information concerning the progress of review of the claim can be obtained at any branch/service center and/or through remote channels.</p>
<p>პრეტენზიასთან დაკავშირებით მსესხებელსა და ბანკს შორის კომუნიკაცია ხორციელდება ბანკის შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: <a href="mailto:customercare@pashabank.ge">customercare@pashabank.ge</a>.</p>	<p>Communication between the Borrower and the bank regarding the claim shall be carried out at the following e-mail address of the bank: <a href="mailto:customercare@pashabank.ge">customercare@pashabank.ge</a>.</p>
<p>13.14. წინამდებარე ხელშეკრულებაში მხოლოდით რიცხვში მოცემულ ტერმინებს აქვს მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობაც და პირიქით - მრავლობით რიცხვში მოცემულ ტერმინებს აქვს მხოლოდით რიცხვის მნიშვნელობაც, თუ შინაარსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.</p>	<p>22.3. In this Agreement, the terms given in the singular also have the meaning of the plural, and vice versa - the terms given in the plural also have the meaning of the singular, unless otherwise specified in the content.</p>
<p>13.15. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას.</p>	<p>13.15. The parties confirm that the content of the Agreement accurately reflects the will of the parties.</p>
<p>13.16 მსესხებელი ითვალისწინებს, რომ ბანკის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი (მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, სანაპიროს ქუჩა N2, 0114).</p>	<p>13.16 The Borrower takes into account the fact that the Supervisory Body of the Bank is the National Bank of Georgia (Address: Georgia, Tbilisi, Sanapiro Street N2, 0114).</p>
<p>13.17. წინამდებარე ხელშეკრულება და მის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებები შედგება ქართულ ენაზე.</p>	<p>13.17. This Agreement and the agreements concluded on its basis shall be made in Georgian.</p>
<p>თუ მეორე მხარემ არ იცის ქართული ენა, ხელშეკრულება შედგება მისთვის მისაღებ ენაზე.</p>	<p>If the other party has no command of the Georgian language, the Agreement shall be made in a language acceptable to him/her.</p>
<p>ამ ხელშეკრულებების ინტერპრეტაციისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას.</p>	<p>In interpreting these agreements, preference shall be given to the agreement drawn up in the Georgian language.</p>

13.18. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მსესხებელს, ხოლო ერთი ეგზემპლარი რჩება ბანკს.	13.18. The Agreement is drawn up in 2 (two) equal copies, one of which shall be transferred to the Borrower, and one copy shall remain with the Bank.
13.19 მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ადრე გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებებთან წინააღმდეგობის შემთხვევაში ამ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესი ძალა.	13.19 In the event of any conflict between this Agreement and any other agreements previously agreed between the parties regarding the subject matter of this agreement, this agreement shall prevail.
მუხლი 14. მხარეთა ხელმოწერები	Article 14. Signatures of the parties
ბანკი:	Bank:
მსესხებელი:	Borrower:
3	3
ბანკი _____	Bank _____
მსესხებელი _____	Borrower _____